№ 175
ავგისტოს 18, კვირა 1902 წ.
1877

ივერია

№ 175
ავგისტოს 18, კვირა 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ 12 ამა აგვისტოს გარდაიცვალა დრამატურგი და დრამატ. საზოგადოების საპატიო წევრი

ავქსენტი ანტონის ძე ცაგარელი

პანაშვიდი საღამოს 7 საათზედ განსვენებულის სადგომში, ავჭალის ქუჩა, სახლი გაგნიძისა. გამოსვენება კვირას, 18-ს აგვისტოს, დილის 8 საათზედ, საკუთარი სადგომიდან ქვაშვეთის ეკლესიაში, ხოლო იქიდან დასაკრძალავად კუკის მართლ-მადიდებელთა სასაფლაოზე. (2—2)

ნატალია მერაბის ასული გაბუნია-ცაგარლისა და ივანე და გიორგი ანტონის ძენი ცაგარლები გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი მეუღლისას, მეორენი ძმისას

ავქსენტი ანტონის ძის ცაგარლისას,

სთხოვენ მობრძანდნენ პანაშვიდე საღამოს 7 საათზედ, ავჭალის ქუჩა, სახლი გაგნიძისა, მიცვალებულს გამოასვენებენ დასაკრძალავად კვირას, 18 აგვისტოს, დილის 8 საათ. საკუთარ სადგომიდგან ქვაშვეთის ეკლესიაში, ხოლო იქიდგან კუკის მართლ-მადიდებელ სასაფლაოზედ.

ქართულ სახალხო წარმოდგენების გამმართველი სექცია მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ნიჭიერის დრამატურგისა და სახალხო თეატრის ერთგულ მუშაკის

ა. ა. ცაგარლის

გარდაცვალებას.

ქართული დრამატიული დასის მსახიობნი აუწყებენ რა ქართველ საზოგადოებას დაუღიწყარის ამხანაგის

ასიკო ცაგარლის

გარდაცვალებას, სთხოვენ განსვენებულის პატივისმცემელთ დასწრებას მის დაკრძალვაზე კვირას, 18. აგვისტოს.

პანაშვიდი ყოველ-დღე საღამოს 7 საათზედ, მიცვალებულის ბინაზედ, ავჭალის ქუჩა, № 4.

თავადი ვლადიმერ ივანეს ძე მხეიძე აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, 22 ამა აგვისტოს, მეორმოცე დღეს მისის მეუღლის

კნ. ელისაბედ გიორგის ასულის მხეიძის

გარდაცვალებისას, ნატოჩიოს წმ. გიორგის ეკლესიაში (სენაკის მაზრა) გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი. (1—403—1)

მოსკოვი
1893

ს.-პეტერბურგი
1870

ნ.-ნოვგოროდი
1897

სავაჭრო სახლი
დონნერისა და ლეიტცისა

ტფილისი, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა, ტელეფონი № 145.

ჟირარდის მნუფაქტურების სააქციონერო საზოგადოებისა.

საწყობში მუდამ ბლომად არის ამოსარჩევად

ტილოს, ბამბსა და წინდა-ჩულქს საქონელი.

ავეჯის გადასაკვრელი მატერიები, პორტიერები, ფარდები, ხალიჩები და იატაკის საფენები

საბნები მატყლისა და აბრეშუმისა.

საცვლები ქალისა და კაცისა

მზითევი.

მზადდება შეკვეთით საქონელი სახაზინო და კერძო დაწესებულებათათვის. დაწვრილებით პრეის-კურანტი მსურველს უფასოდ გაეგზავნება. ჟირარდის მანუფაქტურის საქონელი პარიჟის 1990 წ. მსოფლიო გამოფენაზედ ღირს იქმნა უმაღლესის ჯილდოსი Grand Prix-ისა.

ფინანსთა სამინისტროს გამგებლობაში მყოფი

საბუხჰალტერო კურსები
ნ. ვ. აბრაამიანისა

(იხილე მე-4 გვერდზედ) (25—379—20)

გაზეთი „ივერია“

გადავიდა საკუთრებად **„ივერიის“** ამხანაგობის ხელში

ამხანაგობამ უფლება ამ გაზეთის გამოცემისა შეიძინა ნოტარიუსის წესით დამტკიცებულ ხელ-შეკრულობით 6-აპრილს 1902 წ.

ამხანაგობაში მონაწილეობას იღებენ: თ. ამირეჯიბი, როსებ თადეოზის-ძე, დოქტორი ვაწაძე, სპირიდონ იოსების-ძე, დოქტორი გაბაშვილი, დიმიტრი გრიგოლის-ძე, ლოლობერიძე, ნიკოლოოზ ბესარიონის-ძე, გოგებაშვილი იაკობ სვიმონის-ძე, გძელიშვილი გიორგი ივანეს-ძე, გუნცაძე ირაკლი ალექსანდრეს-ძე, თ. დიასამიძე, გრიგოლ ნიკოლოოზის-ძე, ჯაბადარი, ივანე სპირიდონის-ძე, მესხი, კონსტანტინე დავითის-ძე, მიქაბერიძე, ალექსანდრე ნიკოლოოზის-ძე, სარაჯიშვილი, ალექსანდრე ივანეს-ძე, დოქტორი ჩიქოვანი, ყარამან მანუჩარის-ძე და ყიფშიძე, გრიგოლ თეოდორეს-ძე.

ამხანაგობის თანხა განსაზღვრულია 15,000 მან., განყოფილი 1,500 პაით, 10 მან. თითო პაი.

ვისაც სურს შეიძინოს პაი, კეთილ-ინებოს და მიჰმართოს „ივერიის“ რედაქციას, რომელიც იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, №№ 117 და 118.

ამხანაგობის საზოგადო კრებაზედ ხმა აქვს მხოლოდ იმას, ვინც შეიძენს არა ნაკლებ ათის პაისა.

რედაქციაში შეიძლება მსურველმა მიიღოს ეგზემპლიარი ხელ-შეკრულობისა.

საწყობი ქაღალდის
დიტიატკოვსკის ამხანაგობის

მოსკოვი.
1882 წ

ნოვგოროდი 1896 წ.

საწერ-ქაღალდის ქარხნებისა ტფილისში

ქაღალდი საფოსტო, საწერი, წიგნის საბეჭდი, გაზეთის საბეჭდი და საზოგადოდ ყოველგვარი საბეჭდი ქაღალდი ყველა ნომრისა, აგრეთვე ალბომის ქაღალდი ყველა ფერისა, თუთუნის სახვევი, ჩაის სახვევი, მუნდშტუკისა, საზოგადოდ საქონლის სახვევი და სამანუფაქტურო, შაქრის სახვევი და კარდონისა.

მაღაზია საკანცელარიო, სამწერლობო, სახაზავ და სამოწაფეო იარაღ-კუთვნილებათა. საქონელი **ფაბრიკის ფასად.**

ადრესი წერილებისა: ერევნის მოედანი, სახლი ტფილისის საკომერციო ბანკისა.

ტელეგრამებისათვის: Тифлисъ. Дитятковское Товарищество.

ტელეფონი № 66. (30—6.—9)

ВЪ МАГАЗИНѢ

П. С. ДОРОЖНОВА

Сололакская улица, домъ Гургенова

НАЗНАЧЕНА

съ 19-го Августа на ШЕСТЬ ДНЕЙ, т. е. 19, 20, 21, 22, 23 и 24-го Августа ежедневно назначаемая обычная

РАСПРОДАЖА на ОСТАТКИ

которыхъ поступитъ на распродажу до 40,000 остатковъ. По случаю громадной обширности магазина, остатки сгруппированы для распродажи изъ всѣхъ другихъ отдѣленій фирмы

Скидка противъ прошлыхъ лѣтъ значительно увеличена:

Скинуто отъ 30 до 60% съ рубля.

Обращаемъ вниманіе на поразительную дешевизну цѣнъ.

Полотно для бѣлья чисто-льняное отъ 16 к. ар.
Полотно полосатое для полотенецъ 6½ к. арш.
Мадаполламъ крученый отъ 8 коп. арш.
Простыни 1/сп. отъ 65 коп. за штуку.

Саратовская сарпинка отъ 7 к. арш. Блузки дамскія цвѣтныя со скидкой 60% съ руб.

Масса товаровъ поступитъ для распродажи.

Въ дни распродажи, магазинъ будетъ открытъ съ 9 час. утра до 2-хъ час. дня и съ 5 до 8 час. вечера.

Примѣчаніе. Продажа исключительно только за наличныя деньги.

ამ ნომერთან ტფილისის ხელის მომწერთ ეგზავნებათ დოროჟნოის განცხადება.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ქ. ი. გძელიშვილი. 6—7 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფთათვის კრაოტები

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ბ. ბ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

გრ. ვ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

ბ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირის, 5—6. კვირაობით დილის 12—1 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

კვირაობით:

ბ. ბ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავდმყოფობათა. (წ.)

ფოთის ქალაქის მმართველობა ამით აცხადებს იმათ საყურადღებოთ, ვინც შემოიტანა უკანასკნელად შესწორებული ამომრჩეველთა სიები, რომ **ხმოსანთა ამოსარჩევი კრება** ოთხი წლით ხმოსათა ამოსარჩევად 1902—1903 წ. წ. დანიშნულია 8 **სექტემბერს** 1902 წ. დილის 9 საათზე ფოთის ქალაქის საბჭოს დარბაზში. (3—6.—3)

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, № 30.

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო ნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. წლ.



ავქსენტი ცაგარელი

1857—1902

ტფილისი, 18 აგვისტოს.

დღეს ქართველი ინტელიგენცია და საზოგადოება სამარის კარამდე აცილებს და საუკუნოდ ეთხოვება ავქსენტი ანტონის-ძეს ცაგარელს. განსვენებული დიდი მოამაგე იყო ჩვენის თეატრის და დრამატიულ ხელოვნებისა და ამიტომ სამშობლოც სტირის და სწუხს თავისის შვილის ასე უდროვოდ დაკარგვას. ამ მოამაგეს ჯერ კიდევ მაჯა უცემდა და გული უძგერდა ქვეყნისთვის საჭირნახულოდ და სამოღვაწეოდ, თუ რომ ულმობელი საწუთრო დააცლიდა და სიცოცხლეს არ მოუსწრაფებდა. მაგრამ რაც იშრომა და გააკეთა, ისიც საკმაოა განსვენებულის პატივსაცემლად და ნეტარ საგონებლად.

ა. ცაგარელი სათეატრო ასპარეზზედ გამოვიდა წარსულ საუკუნის სამოცდამეათე წლებში, როცა სამუდამო ქართული სცენა დაარსდა და იმ დროდგან სიკვდილამდე თეატრსა და დრამატიულ ხელოვნებას ერთგულად ემსახურებოდა. თეატრის და ხელოვნების ისტორიაში განსვენებულს თავისი საკუთარი მნიშვნელობა აქვს და, ნიჭისა და ღვაწლის მეოხებით, საპატიო ადგილიც უპყრია. ამ გარემოებას ცხად

ჰყოფს ჩვენის თეატრისა და დრამატიულ ხელოვნების მოკლე განხილვაც.

ჩვენს თეატრს საძირკველი ჩაედგა მთავარ-მართებლის ვორონცოვის დროს, 1850 წ. დიდ გამჭრიახი და შორს მჭვრეტი თავადი ვორონცოვი ნათლად ჰხედავდა, რომ საქართველოს რუსეთთან მჭიდრო კავშირი მხოლოდ პროგრესიულ გზით შეიძლებოდა დამყარებულიყო და ამიტომ მფარველობას უწევდა ყოველგვარს ჩვენს კულტურულ მისწრაფებას. თეატრი ერთი საუკეთესო იარაღია ერის სულისა და გულის გასამშვენიერებლად, მისის ზნეობისა და ჰუნების ესტეტიურად აღსაზრდელად. ღირს შესანიშნავია, რომ ქართული თეატრიც თავადის ვორონცოვის თაოსნობით დაარსდა. ამ თეატრს დიდი ღვაწლი და ამაგი დასდეს გ. ერისთავმა და ზ. ანტონოვმა. ამათ მოაწყეს სცენა, შეკრიბეს მსახიობნი და შექმნეს რეპერტუარი. დიდებული „მეცენატი“ მთავარ-მართებელი ვორონცოვი ხომ იმათ მხარს უჭერდა და იქამდე სწყალობდა ახლად დადგმულ მელპომენის ქართულ ტაძარს, რომ თითონაც ესწრობოდა რეპეტიციებს და არტისტებს ამხნევებდა. რასაკვირველია, ფულით დახმარება სხვა იყო: ვორონცოვმა, თეატრს შემწეობა აღმოუჩინა და საკმაო „სუბსიდია“ დაუნიშნა. ახლანდელი მთავარ-მართებელიც ზრუნვას და წყალობას არ იშურებს ქართულ თეატრისათვის. მაგრამ სხვაფრივ იქცევიან ზოგნი რუსულ პრესსის ჯამბაზნი და ბაშიბუზუყნი, რომელნიც გაბოროტებით სდევნიან არა თუ მარტო ქართულს თეატრს, არამედ ყოველს ჩვენს საზოგადოებრივს დაწესებულებას და ღვარძლს სთესვენ. ასეთი ლიტერატურული ნავარდობა მით უფრო სათაკილო და დასაგმობია, რომ უმაღლესი ადგილობრივი გამგეობა ნდობით უმზერს ჩვენის ერის აღორძინებას.

მაგრამ გარეგან მზრუნველობასა და მფარველობაზედ უფრო მეტად ქართულ თეატრს და დრამატიულ ხელოვნებას ესაჭიროებოდა ინტელიგენციის თაოსნობა და ჩვენის საზოგადოების თვით მოქმედება. გ. ერისთავის და ზ. ანტონოვის თეატრი მოისპო 1855 წელს, როცა სხვის მზრუნველობა და მფარველობა მოაკლდა და იმ დროიდგან დიდის ხნის განმავლობაში არსად სჩანდა ეროვნული ძალა, რომელიც ნამდვილი საბუთი და საფუძველია ყველა საქვეყნო საქმისა და, მაშასადამე სათეატრო საქმისაც. ამ ძალამ თავი იჩინა 1879 წელს და სწორედ მაშინ დაფუძნდა აწინდელი სამუდამო ქართული სცენაც. უკვე აღვნიშნეთ, რომ განსვენებულ ა. ცაგარლის მოღვაწეობაც ამ დროიდგან იწყება. იგი ღვიძლი შვილია იმ დროისა, როცა ეროვნული თაოსნობა დაიბადა და ზრდა დაიწყო. თეატრის და დრამატიულ ხელოვნობის ისტორიაში ეს დრო **ახლად** იწოდება,

რადგანაც „ქართველთ ცხოვრებაში გაჩნდა ახალი ნაკადი და ცხოველი მოძრაობაა“.. მაშ თეატრს ახალი რა შესძინა ა. ცაგარელმა?

ჩვენს დრამატიულ მწერლობაში მიღებულია ის აზრი, რომ ა. ცაგარელი მხოლოდ ნიჭიერი მოწაფე იყო გ. ერისთავისა, ზ. ანტონოვის და გ. სუნდუკიანცისა და ვითომ თავისებური არა შეუქმნია-რა. მაგრამ ასეთი შეხედულება გაზვიადებულია და, ცოტა არ იყოს, უსაფუძვლოც; მართალია, განსვენებული სხვების მოწაფე იყო, მაგრამ ბრმად არვის მისდევდა, და ყოველთვის საკუთარს შემოქმედებითს ნიჭს საკმაოდ იჩენდა. ყოველ სფერაში „მოწაფეობა“ აუცილებელია, მაგრამ ლიტერატორს და დრამატურგს მხოლოდ მონური ბაძი ეძრახვის. ასეთს ბაძს ვერვინ უკიჟინებს ა. ცაგარელს, რომლის თავისებური კილო და საკვირველი დაცინვის ნიჭი ასე ბრწყინავს იმის კომედიებში. აწინდელ დრამატიულ მწერლობაში განსვენებული სწორედ კომიკურის ნიჭით იყო ძლიერი და შეუდარებელი. გ. ერისთავის და ზ. ანტონოვის კომიზს **ბუნებრივობა** აკლია და ნაძალადეობა ამჩნევია. სულ სხვა გვარია ა. ცაგარლის კომიზმი, რომელიც პირ-და-პირ ბუნებისაგან მომდინარეობს და მოსჩქეფს. მიზეზიც ეს არის, რომ განსვენებულის კომედია ისე ჰხიბლავს მაყურებელს და არასოდეს თავს არავის არ აბეზრებს. რამდენი ხანია „ხანუმას“ თამაშობენ სცენაზედ, მაგრამ ამ პიესას სიძველე სრულიად არ ეტყობა. პირიქით, ეს პიესა თითქო კიდეც დღითი-დღე ახლდებაო. ასეთი ბედი თან ახლავს მხოლოდ ნამდვილ და მაღალ ნიჭის ნაწარმოებს!. ჩვენს დრამატიულ მწერლობაში ა. ცაგარელი კომიზმის ნამდვილ მეფედ ითვლება და განსვენებულმა დაამშვენა ჩვენი თეატრი თავისის განსხვავებულ ნიჭის მადლითა და საუნჯით.

განსვენებულმა სხვა ახალი რამე კიდევ შესძინა ჩვენს თეატრს. იმან გარეგნობით გაალამაზა და გაალაზათიანა სასცენო პიესა. გ. ერისთავის და ზ. ანტონოვის ნაწარმოებს, ენისა და ფორმის მხრით, ერთგვარი სიტლანქე და სიმძიმე აშკარად ატყვია. უმეტეს ნაწილად მათი პიესა სცენაზედ ისე მიიზლაზნება, თითქო საპონ-წაუსმელი ქართული ურემიაო. სულ სხვაა ა. ცაგარლის პიესა. ამის პიესა ისრე მარდად და კოპწიად მისრიალებს და მიგოგამს, რომ მაყურებელს არ უნდა ერთ წუთსაც-კი თვალი მოაშოროს. დიაღ, როგორც ბუნებრივის კომიზმით, ისრე კალმის სიკეკლუცით და სიტყვის შნოთი ა. ცაგარელი გამეფდა ქართულ სცენაზედ და რა საკვირველია, რომ მელპომენის „ჯადოსანს“ ასეთს თაყვანს სცემდა ჩვენი ხალხი. საქართველოს მივარდნილ და მიყრუებულ ადგილასაც-კი იცნობენ „ასიკოს“ და ეს ამბავი განმარტებას არ საჭიროებს. რომელ ჩვენს დრამატურგს ჰრგებია ესეთი ხვედრი?—ეს ხვედრი მხოლოდ ზეგარდმო მადლით ცხებულის კერძია და ნეტავი განსვენებულ ა. ცაგარლის სულს, რომ უზენაესმა მეუფემ ასეთი ხვედრი და კერძი მიანიჭა!...

ავქ. ცაგარლის პატივსაცემლად.

(წერილი აბასთუმნიდგან)

ოთხშაბათს, 14 აგვისტოს, დილას მთელს აბასთუმანს მოეფინა ავქ. ცაგარლის სიკვდილის ამბავი და ღრმა მწუხარება გამოიწვია აქ მყოფ ქართველ მოაგარაკეთა შორის. უეცარმა და მოულოდნელმა სიკვდილმა ძალ-ღონით სავსე დრამატურგისამ, რომლისაგანაც ჯერ კიდევ ბევრს მოველოდით, ყველას გული დაგვწყვიტა...

ხუთშაბათს, 15 აგვისტოს, ნაწირევს აქ მყოფი ქართველობა შეიკრიბა აქაურს ტაძარში და დამსახურებულის დეკანოზის მეუნარგიას მიერ მღვდელთა შენგელაიას, ჯიჯეიშვილის და წერეთლის თანამწირველობით ქართულად ქართულის გალობით გადახდილ იქმნა პანაშვიდი, რომლის შემდეგაც მღვდელმა ჯიჯეიშვილმა შემდეგის გრძნობით სავსე სიტყვით მიმართა შეკრებილს საზოგადოებას.

„ყოველს დასაკლისს მწუხარება მოსდევს და მწუხარებას ცრემლი. მოაკლდა ჩვენს საერთო ოჯახს ძვირფასი მხატვარი ჩვენის ცხოვრებისა, დაზარალდა ჩვენთვის მომუშავე მკლავი და ნუ-თუ ჩვენი სულიერი თვალი მაინც არ უნდა აივსოს ცრემლით? ვსტიროდეთ, ძმანო, ავქსენტი ცაგარელს და გვრწამდეს, რომ ამ ტირილს ყურს უგდებს ცისა და ქვეყნის გამჩენი ღმერთი, წვეთობით დასთვლის ამ წმინდა ცრემლს და არ იფიქროთ, რომ მასთან დაგვეკარგოს არც ერთი. მაშ ამ იმედით მწუხარებას და ზარალს ძველებურად გავუძლოთ!

მე როგორც უბრალო ვისმე არავინ თქვენგანი არ მომთხოვს იმის ახსნას, თუ ვინ იყო და რა იყო ჩვენთვის განსვენებული ავქსენტი ცაგარელი; დარწმუნებული ვარ, მისი ვინაობა და მოღვაწეობა ყველამ კარგად იცით და მე ამის ცოდნაში თქვენ შორის უკანასკნელი ვარ. მხოლოდ ერთს რასმე მოგახსენებთ: ნუ დავივიწყებთ ძველს ჩვეულებას, რომ დაზარალებულს შემწეობა უნდა და მწუხარეს ნუგეში. გამოვიღოთ ცოტაოდენი წვლილი და შევეწიოთ დაზარალებულს ჩვენს მწერლობას, ნუგეში ვსცეთ ჩვენს მომავალს; შევკრიბოთ ფულად, რამდენიც შეიძლება, და ჩვენდა სანუგეშოდ, ავქსენტი ცაგარლის სახსოვრად, გავუგზავნოთ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას იმისთანა ფონდის დასაარსებლად, რომელიც შეეფერება განსვენებულის სახელს.

ბოდიშს ვიხდი ამ მოგონებისთვის და ვათავებ: „ყურნი გასხენ სმენად“ და იმედია გაიგონებთ“.

უამისოდაც აქაურმა ქართველობამ წინა დღითვე გადასწყვიტა შეკრიბოს ფული და დეპუტაციისა და გვირგვინის გამოგზავნის მაგიერ, შეკრებილი ფული გაუგზავნოს დრამატიულ საზოგადოების გამგეობას ავქსენტი ცაგარლის სახელზე ფონდის დასაარსებლად, რომ ამ ფონდის სარგებლით დაჯილდოვებულ იქმნას ხოლმე პრემიით საუკეთესო დრამატიული ნაწარმოები, და ამ სიტყვის შემდეგ ბევრმა ეკკლესიიდგან გამოსვლისათანავე გამოიღო თავისი წვლილი. ამ ნაირად იმედია, ამ ცოტა ხანში, როგორც აქ, ისე სხვაგანაც ყველგან, სადაც-კი პატივს სცემენ ავქსენტი ცაგარლის სახელს, და სად არ სცემენ პატივს საქართველოში? შეიკრიბება იმდენი, რომ თუ ყოველს წელს არა, ორ-სამ წელიწადში ერთხელ მაინც შესაძლებელი იქმნეს საუკეთესო დრამატიულ ნაწარმოების პრემიით დაჯილდოვება.

მე მგონია, გარდა ძეგლისა, რომლის დადგმაც განუზრახავთ ტფილისში განსვენებულის საფლავზედ, ამ ნაირ ფონდის დაარსება საუკეთესო პატივისცემა იქმნება იმ კაცის სახელისა, რომელიც ღირსეულად აგრძობდა თავისს სიცოცხლეში „ქართველ მოლიერისაგან“ დაწყებულს საქმეს და რომელმაც თვით მიყრუებულ საქართველოს სოფლებსაც მოთხოვნილებად გადაუქცია ქართულ წარმოდგენის ნახვა, ხოლო ჩვენს ქალაქებში და დაბებში ხომ არა ერთხელ დაატკბო ესტეტიურად ყოველი ქართველი!.,

დუტუ მეგრელი.

ასიკოს ხსოვნას.

კერძო პიროვნება და საზოგადოებრივი მოქმედება ადამიანისა ისეა ერთმანეთში გადახლართული, რომ, ამა თუ იმ მოღვაწის საზოგადოებრივის სამსახურის გათვალისწინების დროს, გზას ვერ აუქცევ მისს კაცურ თვისებათ, მაშინაც-კი, როდესაც მოღვაწე შენი თანამედროვე არ არის.

და, თუ მოღვაწე თანამედროვეა, შენთან ერთად ცხოვრების უღელის მწევილი, ჭირსა და ლხინში თანამოზიარე, მაშინ ერთი მხარე მისის ადამიანობისა ისე ერთვის მეორეს, რომ ხანდისხან ვერც-კი განსაზღვრავ, სად თავდება ერთი და სად იწყება მეორე.

არავისზედ ეს ზოგადი კანონი ისე მკაფიოდ არ გამოთქმულა, როგორადაც აწ განსვენებულ ასიკო ცაგარლის შესახებ.

ის, ვინც განსვენებულს არ იცნობდა, როგორც მწერალს, საკმარისი იყო გაეცნო იგი, როგორც კაცი, რომ ასიკო ჩვეულებრივ ადამიანთა რიცხვში არ ჩაერიცხა.

ასიკოში მოიპოვებოდა გამოურკვეველი სულიერი იერი, რომელიც, შენდა უნებურად, გიზიდავდა ამ კაცისაკენ სამუსაიფოდ, სალაღობოდ, სამეგობროდ.

თითოეული მახვილი სიტყვა ასიკოსი, ცხოველ მეტყველი კილო ლაპარაკისა, მოძრავი სახე სრული სიმბოლო იყო ამ ადამიანის კეთილის, უწყინარის ხასიათისა და კაცურ-კაცობისა.

დაუშრეტელი ბუნებრივი იუმორი,—ცხოვრებაშიაც და მწერლობაშიაც,—ეს სწორედ ასიკოს სფეროს შეადგენდა, აქ იგი თავს სრულს მფლობელად ჰგრძნობდა.

მაგრამ ეს იუმორი გესლით როდი იყო გაჟღენთილი... არა, იგი ნელსაცხებელივით ესალბუნებოდა ადამიანს, მაშინაც-კი,—როდესაც ორლესულის სიტყვით შენკენ გამოინავარდებდა ხოლმე.

თუ რუსეთის შესანიშნავ მწერლის შჩედრინის სახე არავის უნახავს საამურად გახსნილი, სიამით ამეტყველებული, სამაგიეროდ ასიკოს ბაგეზედ მუდმივ ლაღი ღიმილი კრთოდა და ნაკვესი სიტყვა აღმოსაზიდად მზად იყო.

ნურავინ იფიქრებს, რომ ეს ღიმილი განსვენებულისა ზეზეურობის ნაყოფი ყოფილიყოს... არა, იგი იყო მსახველი მხოლოდ მისის პატიოსანის გულისა და სათნო ხასიათისა. მე დარწმუნებული ვარ, ასიკო შესანიშნავი მწერალიც რომ არ ყოფილიყო, მაინც ყველასათვის საყვარელი კაცი იქნებოდა...

დიაღ, იგი ყველას უყვარდა, ყველასათვის **„ჩვენი ასიკო“** იყო. მეგობარიც და შეიდიუცხოც თანასწორის სიამოვნებით უგდებდა ყურს განსვენებულის სხარტს და მხიარულ საუბარს, რადგანაც ამ საუბარში აზრიანი ცხოველმყოფელობა იხატებოდა.

ასეთი იყო ასიკოს კერძო პიროვნება.

რაც შეეხება სადრამატურგო და სასცენო მოღვაწეობას, ამ მხრივ განსვენებულის ღვაწლი მეტად დიდმნიშვნელოვანია.

თუ ნეტარ-ხსენებულს გ. ერისთავს ქართველთა „მოლიერობა“ ეთქმის,—შეუფერებელი როდი იქნება, ცაგარელს ჩვენი თეატრის „ბომარშე“ ვუწოდოთ.

ქართული მუდმივი სცენა და ასიკოს მოღვაწეობა მჭიდროდ არის შეკავშირებული.

მუდმივი სცენის დაარსების წამიდგან დღევანდლამდე განსვენებული დაუღალავი თანამგზავრი იყო ქართულის თეატრისა.

ჩვენი ხელოვნების ზრდა—ამავე დროს ზრდა იყო თვით ასიკოსი, ორივე ურთიერთის დახმარებით ვიდოდნენ წინ.

ქართული თეატრი დაიბადა და იმან შექმნა ასიკო ცაგარელი; ასიკო ცაგარელი გაიზარდა და, ვით მშობლის მოვალე შვილმა, თეატრს დაუწყო საზრდოობა.

პირველში იგი, ერთსა და იმავე დროს, ემსახურებოდა თეატრს მსახიობადაც და დრამატურგადაც.

ასიკოს მოღვაწეობა სამსახიობო ასპარეზზედ არ არის ისეთი შარავანდედით მოსილი, როგორც მისივე მოღვაწეობა, ვით დრამატურგისა.

ამიტომ ყველასათვის საგულისხმიერო მხოლოდ მისი მწერლობითი სახებაა.

ბუნება ასიკოს შემოქმედობისა სწორედ იმავე იერისაა, როგორიც იყო განსვენებულის ხასიათი ცხოვრებაში.

ცხოვრებას იგი ზოგიერთებსავით პესიმისტურად როდი უყურებს:

მას სწამს, რომ ცხოვრება ადამიანთა უბედურების განუწყვეტელი ჯაჭვი როდია, რომ ამ ცხოვრებაში მოიპოვება არა ერთი-ორი მანუგეშებელი მოვლენა და რომ კაცმა თავის დღეში სასოება არ უნდა წარიკვეთოს!

თითოეული მისი ნაწარმოები ამ აზრით არის გამსჭვალული... მაყურებელი, თუ მკითხველი ჰხედავს, რომ ქვეყნიური ბოროტება

ფელეტონი

ნირვანა.

იყო... აღარ არის... მოკვდა!..

ძარღვებში სისხლი მეყინება, სხეულში უსიამოვნო ჟრუანტელი მივლის, თითქო კანსა და ხორცს შუა ჭიანჭველები მიფუთფუთებდნენ, როდესაც ეს სიტყვები მახსენდება...

ვერას გზით ვერ შევრიგებივარ იმ აზრს, რომ კაცი, რომელიც ამ ორ-სამ დღის წინად მელაპარაკებოდა, იცინოდა და რომელსაც სიცოცხლის მრავალ-მეტყველი ძალა ამოძრავებდა,—ახლა ყველა ამ მადლს მოკლებულია, ლეშად არის ქცეული, ჭია-ღუას კერძად გამხდარა...

მოკვდა... მოკვდაო! მაგრამ არა მჯერა!..

როგორ მოკვდა, როდესაც ყოველ წუთს თვალ-წინ მიდგას... აი, ვუცინით ერთმანერთს... აი, ჩემსკენ მოდის... გა...

ოჰ, ზმანებავ! რა ცხოველ-მყოფელი ხარ... ნუ თუ წარმოდგენა იმდენად ძლიერია, რომ ხორც-შესხმულად მიხატავს მას, ვინც—ეს ორი დღეა—მიწად იქცა?!

არა, არა მჯერა, რომ იგი გარდაცვალებულია... მტვერია, ნეშტი!.. იგი ისევ ცოცხალია! სიკვდილი უძლურია, ვერ შეეხება ქვეყნის გვირგვინს იმ ძლიერებით, როგორათაც სხვა სულიერსა!.. ადამიანი მხოლოდ ლეშით ჰკვდება... სული-კი უკვდავია, ვით ძლევა-მოსილება ბუნებისა! მას, რაც-კი თავისს შემდეგ ხსოვნასა სტოვებს, ვერარა შეჰმუსრავს—თვით სიკვდილიც-კი.

⁂

ფიქრმა სიკვდილის შესახებ მომქანცა, მაგრამ ჩემი აბორგებული გონება კვლავ მასვე ეპოტინებოდა.

არას დროს ასე არ დავუფიქრებივარ ამ საშინელ საიდუმლოებას ბუნებისას... ყოველთვის ვცდილობდი თავი დამეღწია სიკვდილის შესახებ ფიქრისათვის... ან რა სასიამოვნოა მასთან მეგობრობა, როდესაც მარტო ერთი სიტყვა „სიკვდილი“ ყინულის მსგავსად ჰხვდება კაცის არსებას?

მაგრამ ახლა, ჩემდა უნებურად, როგორც ლურსმანი, ისე ჩამჭედოდა იგი გონებაში და თანდათან ფესვს უფრო მაგრად იდგამდა.

ძვირფას მეგობრის მოულოდნელად დაკარგვამ უზომოდ შეარყია ჩემი სულიერი არსება და იძულებული გამხადა თვალი თვალში გამეყარა ამ ბუნების ულმობელ კანონისათვის...

გარნა ჩემს მისწრაფებას მის გამოცნობისადმი გადუვალი კედელი ეღობებოდა და მხოლოდ სიტყვა „სიკვდილი“, ვით სატანისებური ფერხული, დაცინვით დამიხტოდა წინ...

⁂

თითონვე ვგრძნობდი ჩემს უძლურებას. ვიცოდი, რომ დაუძლეველ საგნის გამოკვლევას შევდგომივარ, მაგრამ მაინც ერთხელვე აშლილი აფრა ცნობის-მოყვარეობისა, რომელსაც, აგრეთვე შეჰკეცოდა შიშიც მომავალის შესახებ, ციბრუტივით მატრიალებდა ერთსა და იმავე საგნის გარშემო, მხოლოდ ამ ტრიალში იოტის ოდნათაც ვერ დავახლოვებოდი განზრახულ მიზანს.

წარმოდგენილი მაქვს მდგომარეობა პირველყოფილის ადამიანისა, როდესაც იგი პირველად თვალ-დათვალ შეხვდებოდა სიკვდილის ნაღვაწს!.. რა უნდა ეგრძნო იმ უღონო, გონებით ჩლუნგს და გრძნობით უტყვს არსებას, რომელსაც პირი მხოლოდ საჭმლის მიმღებ იარაღად მიაჩნდა?!

რა განცვიფრებითი სასო-მიხდილობა მოიცავდა, როცა სიკვდილი რომელსამე მახლობელს ხელიდან გამოაცლიდა!

მაგრამ პირველ-ყოფილი ადამიანი თუ იგრძნობდა რამენაირ ტკივილს, ეს იქნებოდა გლოვა ობლად, უმწედ-უნუგეშ დარჩენილისა; ჩემი ტკივილი-კი სულთა-ძვრა იყო, მე მტკიოდა თვით გონება, ეს მძლეთა-მძლე იარაღი კაცისა, რომლის წყალობით ადამიანს თავი თვისი ბუნების ზღუდეთა შორის გვირგვინით შეემოსა...

სხვა ყველაფერში ძლევა-მოსილი, ბუნების საიდუმლოთა-საიდუმლოების, გამომაშკარავებელი, ამ შემთხვევაში საკვირვლად ჩლუნგდებოდა და საშინლადა მღრღნიდა.

ამიტომაც ვცდილობდი ამ სულიერ გაჭირვების დროს ხსნა იმ წარმოდგენაში მეპოვნა, რომელსაც ჩვეულებრივად მიჰმართავს ხოლმე ადამიანი...

მე ოცნებით საიქიოსკენ ვისწრაფოდი და მინდოდა იმიერ ცხოვრების განხორციელებაში. შთამენთქა აზვირთებული ტკივილი გონებისა, რომელიც მგლის ყმუილივით განუწყვეტლივ ჩამომძახოდა: „სიკვდილი, სიკვდილი! გამოიცან, თუ შეგიძლიან, ეს ამოცანაო!“

გარნა ოცნებაც-კი, ეს საკვირველი მხატვარი, დიადი მთხზველი, არარაისაგან ბუმბერაზის აღმშენებელი—უძლურებდა, დრტვინავდა... გონების თითო მოქნევაზედ სასომიხდილი, ენარცხებოდა და მრავალ ნაწილებად კნინდებოდა, ვით ქარისაგან გაფანტული ღრუბელი.

მოვიქანცე, მოვწყდი ზნეობრივად და ხორციელადაც... მივესვენე ბალიშს და ძილის ბარდებში ვაპირებდი თავის გაბმას, მაგრამ ძილი ისე არ მომეკარა, როგორადაც ურწმუნოს მადლი რწმენისა.

და განვიზრახე, ჩემ ფიქრთა-სრბოლისათვის სულ სხვა გზა მიმეცა; ერთის სიტყვით, ვცდილობდი გონების თვალი დამეხუჭა, რათა სინამდვილის ულმობელობა არ დამენახა მისის საზარელის იერით...

უკვდავება სულისა—აი, ის ხავსი, რომელსაც ჩავჭიდე ხელი... მასზედ მინდოდა ამეგო აზროვნებითი შენობა, და მას უნდა მოეფინა ჩემის გაწვალებულის არსებისათვის შუქი ხსნისა.

კაცი, რაც უნდა ურწმუნო იყოს (ძნელი წარმოსადგენი-კია), მაინც მისს ამა თუ იმ რელიგიურ რწმენაზედ უცნაურის საიდუმლო ძაფით გადაბმულია წარმოდგენა საიქიო ცხოვრებისა და სულის უკვდავობის შესახებ...

მე თავად არ ვიყავ რელიგიური სკეპტიკი და ამიტომაც, როცა დიდი გაჭირვება დამადგა, სახსნელად ცა და მასში სულის ნავარდი მოვიშველიე... ვცდილობდი დამემტკიცებინა ჩემის თავისათვის, რომ ადამიანი სავსებით არა კვდება, რადგანაც მისი სული სულ სხვა მსოფლიოს შეეკედლება ხოლმე და აი, სწორედ აქ იწყება მეორე ნახევარი კაცის ცხოვრებისა, რომელიც უფრო ბრწყინვალე და წმიდაა, ვიდრე ამ ქვეყნიური არსებობა-მეთქი.

სიკვდილი საზღვარია საქაო-საიქიოსი, ერთი რომ თავდება, მეორე იწყებაო, გამიგონია. პირველშია—ცხოვრება სხეულისა, ხოლო მეორეში—ცხოვრება სულისაო. როდესაც სხეული კვდება, სული იბადება, თავისუფლდება ხორცის საშინელის ტყვეობისაგან და მიჰფრინავს იმ სანეტარო ადგილს, რასაც ჩვენებურად „სასუფეველი“ ეწოდებაო. და ვაი იმ სულს, რომლის სხეულიც სააქაოს ღვთიურის მადლით არ ყოფილა აღბეჭდილი! მშვიდობით მაშინ ნეტარებით აღსავსე სასუფეველო! სამაგიეროდ მისი ხვედრი ჯოჯოხეთიაო.

აი, ის დასკვნა-იარაღი, რომლითაც, ვითომ პასუხი გავეცი მოზღვავებულ გონების ძახილს, მაგრამ ამანაც ვერ გასჭრა, მხოლოდ მიმბნიდა, მიმაყუჩა, თითქოს ჰიპნოზს მიმცა და ის, რაც ამ ფიქრის დროს მომელანდა, ძნელი სათქმელია, რა იყო, სიზმარი, თუ გალიუცინაცია დაღლილის გონებისა.

მხოლოდ აი რა ვნახე.

მოულოდნელად თავს წავადექ ერთს საკვირველს უფსკრულს, რომლის სიღრმე-სიგანე თვალისათვის უწვდენელი და გონებისათვის უსაზღვრო უნდა ყოფილიყო. უფსკრულის პირად იდგა ერთი ბოძი და ამ ბოძზედ უშველებელის ასოებით ეწერა:

სიკვდილი... უფსკრული არარაობისა.

გავშრი... კანკალმა ამიტანა და უცნაურად შევიკუმშე.

აი, ის საკვირველი დიადი საიდუმლოება ბუნებისა, რომლის გამოცნობას ქვეყნის რჩეულნი ამაოდ ებრძოდნენ... მე-კი, უბრალო კნინი ბუნებისა, რომლის მარტო ერთი ამოსუნთქვის ნაასალიც არ ვიქნებოდი,—ახლა პირისპირ ვიდექ იმ თავზარ-დამცემ უფსკრულის წინაშე, სადაც დამარხული იყო უდიადესი ტრაღედია მთელის მსოფლიოსი.

არც ისე მძლეთა მძლე მოვლენაა, რომლის წინაშე მადლმა უეჭველად ქედი უნდა მოიდრიკოს.

ჩვენს უფერულ ცხოვრებაში, როცა სიცოცხლე თითქოს ტვირთად გაჰხდომია ადამიანს და მისი დაავადებული გრძნობა-გონება ყველა მოვლენას პირქუშის იერით ჰმოსავს,—ცაგარლისებური ცხოველ მეტყველება ისე მოქმედობს ადამიანზედ, როგორათაც ციური ნამი გოლვისაგან გატუსულს მდელოზედ.

დღიურ სიცხადისაგან მთლად მოქანცული, გონება ამღვრეული, გრძნობა დაჩლუნგებული მიდიხარ თეატრში და აქ რამდენისამე საათის განმავლობაში ასიკოს მადლ-მოსილების წყალობით ისვენებ სულიერად, იხსნი არსებისაგან მოქუშულებას, დაღრეჯილობას და მხიარული სხივი გულს გეფინება,

ასე ანაზდეულად შეცვლა-კი ადამიანის სულიერ განწყობილებისა მხოლოდ და მარტოოდენ ჭეშმარიტს ნიჭს ძალუძს.

ასიკო სწორედ ამ ნიჭის პატრონი იყო... მან ეს ნიჭი 25 წლის განმავლობაში ქართულ თეატრს ამსახურა—მაშასადამე ქართველ ხალხს, მისს ეროვნულ თვით-ცნობიერებას.

ამით მან დაიდგა თითოეულ ქართველის გულში ხელთ-უქმნელი ძეგლი, რომელიც მხოლოდ მაშინ ამოიფხვრება, როდესაც ეს გული ქართულად აღარ იძგერს!..

ილ. ზურაბიშვილი.

ტფილისი

✦ დღეს, 18 აგვისტოს, დაკრძალვენ ასიკო ცაგარელს. ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას, ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელთა და ზოგიერთ ინტელიგენტთა თანადასწრებით, გადაუწყვეტია ცხედარი გამოასვენონ განსვენებულის სადგომიდგან დილის 8 საათზედ. სამგლოვიარო პროცესია გამოემართება ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიისკენ ვორონცოვის ხიდით ბარათინსკის ქუჩაზედ, შეუხვევს ლორის მელიქოვის ქუჩაზე. წირვისა და პანაშვიდის შემდეგ პროცესია გაივლის გოლოვინის პროსპექტზედ, ჩაუხვევს ბარიათინსკის ქუჩაზედ და გაივლის ხიდს, მერე მიხეილის ქუჩაზედ და ავა რეუტოვის ქუჩით კუკიის სასაფლაოზედ. გამგებლობა სამგლოვიარო პროცესიისა დაევალა ბ-ნ ვალერიან გუნიას, რომელსაც უნდა მიჰმართონ სიტყვის წარმოთქმის მსურველთ. ეკლესიაში სიტყვის თქმა აღარ იქნება.

✦ ჩვენ მოგვივიდა ეკ. ნიკოლაძისაგან 15 მ. ქუთაისის სახალხო თეატრის სახელობით ავ. ცაგარლის გვირგვინის მაგიერ დრამატიულ საზოგადოების გარდასაცემად.

✦ ამავე აზრით გამოგვიგზავნა გ. სხირტლაძემ ერთი თუმანი დრამატიულ საზოგადოების გარდასაცემლად.

✦ ტფილისს ამ ჟამად დიდძალი ქვავი (рожь) მოდის რუსეთიდგან თითქმის ყოველ დღე ოც-ოცი ვაგონი; ეჭვს გარეშეა, რომ ეს გარემოება მეტად დასწევს ჩვენებურ ხორბლის მაზანდას.

✦ გუშინ დილით დაბრუნდა მოგზაურობიდგან 8 კაცი, რომლებიც „დიდ-არარატის„ მწვერვალზე მშვიდობიანად ასულან აგვისტოს 12-ს და დაუდგამთ იქ ასტრონომიული ქოხი. ეს ქოხი ვგონებთ პირველია მთელს დედამიწის ზურგზედ ასეთს სიმაღლეზედ აღმართული. ექსპედიციაში ერთი ჩვენი თანამემამულეც ერია. დაწვრილებით შემდეგ გავაცნობთ მკითხველებს ამ საყურადღებო მოგზაურობის ამბავს.

✦ ამ დღეებში მოსე ჯანაშვილს ვიღაც უცხო პირისაგან შეუძენია ბეჭედი, რომელიც ჩვენის ვარაუდით უნდა ეკუთვნოდეს XVI—XVII საუკ. მცხოვრებ ერთ-ერთ საქართველოს მეფეს. დაწვრილებით ამ ბეჭდის აღწერას ამ დღეებში ვაუწყებთ მკითხველებს.

✦ კავკ. მსროლ. ბატალიონები, რომელნიც ამ ზაფხულზედ თიანეთს იდგნენ ბანაკად, უკვე დაბრუნდნენ ტფილისს.

✦ გუშინ, ნაშუადღევის $2^1/_2$ საათზედ ისეთი თავსხმა იყო ქალაქში, რომ კაცს წარღვნა ეგონებოდა.

✦ აგვისტოს 16-ს, საღამოთი, ვიღაც 13—14 წლის ბავშვს, რომელიც მაღაზიაში, თუ რაღაც ამ გვარ ადგილზედ, ნოქრად ყოფილა, ხელთ უგდია 1,500 მანეთი და გაპარულა. წაუღია ეს ფული და შენახვა ვერ მოუხერხებია; შეუტანია თავად-აზნაურთა ქარვასლაში, ასულა მაღლა და უკან, ბანკებისაკენ გასავალ კიბეზედ, ბნელს კუნჭულში დაუდვია, თვითონ სახლში წასულა. ფულის პატრონს გამოუცხადებია პოლიციისათვის და ბავშვი შეუპყრიათ. ბავშვი შეუშინებიათ, გამოტყდი, თორემ სასტიკად მოგექცევითო. ბავშვი გამოტეხილა, უთქვამს აქა დ აქ შევინახეო. გამოსძღოლია წინ პოლიციელებს, აუყვანია იმ კიბეზედ ღამის $12^1/_2$-ზე და ფული ხელუხლებლად დახვედრიად.

✦ ქალაქის ექიმებს ოფიციალურად მოუვიდათ მოწერილობა საგუბერნიო საექიმო მმართველობისაგან, რომლითაც მათ ვალად ედებათ სასტიკი ყურის გდება ყოველნაირ სანოვაგეთა და სასმელებისა, რომელიც-კი გამოტანილ იქნება ბაზარში გასასყიდათ.

✦ „ცნობ. ფურც.“ პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ რკინის გზათა კომისიამ ნება დართო თავ. ნ. თავდგირიძეს ოზურგეთ-ნატანებს შუა რკინის გზის გაყვანისა.

✦ 15-ს ამ თვეს ავაზაკებმა გაცარცვეს რკინის გზის „დამხმარებელ საზოგადოების“ მაღაზია, რომელიც იმყოფება ნაძალადევის მახლობლად. ზარიალი ჯერ არ არის ცნობაში მოყვანილი, მაგრამ, როგორც ამბობენ, ეს მაღაზია თურმე დიდი ხანია, რაც შინაურ ქურდებისაგან იძარცვებოდა და თითქმის ასორმოც და ათი თუმნის საქონელი აკლია. პოლიციამ გამოძიება მოახდინა და შემდეგი აღმოაჩინა: 15-ს, საღამოს 8 საათზედ, როდესაც მაღაზიაში ვაჭრობა აღარ იყო, მივიდა ღამის სადარაჯოდ პოლიციელი, რომელსაც საზოგადოებისაგან ეძლეოდა 300 მანეთი, და ნახა, რომ ერთი სტავნა ღია აყო; პოლიციელმა შეატყობინა ნოქრის თანაშემწეს, მაგრამ არც ერთმა და არც მეორემ არავითარი ზომა არ მიიღო. მხოლოდ მეორე დილას, 16 მარიამობისთვეს, 8 საათზედ, პოლიციელმა გამოუცხადა საზოგადოების უფროსს მოურავს, რომ მაღაზია გაძარცვესო. მძარცველები ჩასულან ჩარდახიდან, ამოუჭრიათ მაღაზიის ჭერი, ჩაუშვიათ თოკი კორიდორში, საიდგანაც შესულან მაღაზიაში და საქონლის გარდა, დაუმტვრევიათ დახლი, სადაც რამდენიმე თუმანი ყოფილა, და კარებიდამ გასულან. საზოგადოების მოურავმა ეჭვი გამოაცხადა პოლიციელზედ, მაღაზიის ნოქარზედ და მის თანაშემწეზედ. საქმე უკვე გამომძიებელს გარდასცეს.

✦ რადგანაც საქონლის ასაცრელად საკმარისი შრატი ვერ უშოვნიათ, რომ მთლად აუცრან იმ საქონელს, რაც ამ ხანად ქალაქს შეუძენია, ამიტომ ბ. ალიხანოვს განუზრახავს, შეიტანოს გამგეობაში განცხადება, რათა მან გაგზავნოს საკუთარი ბეითალი ამ შრატის მოსამზადებელ ადგილებში საჭირო შრატის შესაძენად.

✦ ის ამბავი, რომელიც გაზეთებში იყო გამოქვეყნებული, ვითომ ქალაქის საკლავ საქონელს რაღაც სენი აღმოსჩენოდეს და ვითომც 13 სული კიდეც ემსხვერპლოს ამ სენს, ჭეშმარიტებას მოკლებული ყოფილა, ალიხანოვის სიტყვით, ამ სნეულებამ სულ 3 სული საქონელი იმსხვერპლაო, და არავითარი მიზეზი არა გვაქვს ვიფიქროთ, ვითომც საქონელს ჭირი გასჩენოდესო.

✦ ამ თვის 16-ს ოსმალეთის ქვეშევრდომმა სიმონ კურკიანცმა გამოუცხადა პოლიციას, რომ მან თავის სამკერვალოდგან, რომელიც იმყოფება პატარა ვანქის ქუჩაზედ ჯანშიევის სახლში, დაჰკარგა 1,224 მან., რომელიც მობარებული ჰქონდა ოსმალეთიდგან გადმოხვეწილ სომხებისაგანაო. ეხლა იგინი ისევ უკან უნდა დაბრუნდნენ სამშობლოშიო და რა ვქნა, არ ვიციო. სამკერვალო კლიტით ყოფილა დაკეტილი, ბოროტ-გამზრახველს კლიტე გაუღია გასაღებითა და ფული ამოუღია ყუთიდამ. ეს ფული უნდა ამ დღეებში გამეგზავნა მათთვის სამშობლოშიო. გამოძიებას აღმოუჩენია, რომ თვით კურკიანცს გაუღია ბოქლომი და ფულიც იმას წაუღია, და ყველა მისი განცხადება მტკნარი სიცრუე გამომდგარა.

✦ ამ თვის 16 ტფილისის მცხოვრებმა მიხ. აკოფოვმა გამოუცხადა მე-7 უბნის ბოქაულს, რომ ჩემი 18 წლის შვილი მნაცაკანოვის ხიდთან ჩავარდა და დაიხრჩოვო.

✦ თელავის გამგეობის მოქმედებას ამ ბოლოს დროს თითქო სიცოცხლის ნიშანწყალი დაეტყო: სცდილობს ზოგიერთს თავის წყლულს წამალი მოუნახოს. ამ განზრახვით თელავის მამასახლისი ბ. თათუზოვი ჩამოვიდა ქალაქს, რათა გუბერნატორის წინაშე ეშუამდგომლნა თელავის ზოგიერთ აუცილებელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ჯერ-ჯერობით პირველი მისი თხოვნა კეთილად დაგვირგვინდა: გუბერნატორმა ნება დართო თელავის გამგეობას ისესხოს ასი თუმანი ქალაქის ძირითად თანხიდგან, რომელიც უნდა მოხმარდეს ქალაქის საზოგადო პურის საცხობს. ეს ხერხი თელავმა ხუთის წლის განმავლობაში უნდა შეიტანოს ნაწილ-ნაწილად.

✦ ჩვენი გაზეთის მკითხველებს მოეხსენებათ, რომ დურგალთა ამხანაგობის „შრომის“ კრებაზედ ამ ერთის კვირის წინად, ვერ ამოირჩიეს საზოგადოებისა და გამგეობის წევრები დღეს, 18 აგვისტოს, დანიშნულია ამ ამხანაგობის წევრთა კრება, რომელმაც უნდა ამოირჩიოს გამგეობის ახალი წევრები.

✦ გუშინ მოლაპარაკება ჰქონდა შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან გამოგზავნილ სამრეწველო სკოლების ინსპექტორს ბ. კორვატოვსკის ქალაქის გამგეობასთან იმის შესახებ, თუ რა ტიპის სკოლები უფრო საჭიროა ტფილისისათვისო. ამ თათბირს დაესწრო სამინისტრო სკოლების ინსპექტორი დიმიტრიევიც; ბ. კორვატოვსკიმ ის აზრი გამოსთქვა, რომ უფრო საჭიროა მცხოვრებთათვის ოთხკლასიანი სატეხნიკო-სამრეწველო სასწავლებლები, რადგანაც ამ ტიპის სკოლებს უფრო შეუძლია გაავრცელოს ხალხში პირველი ცოდნა ტეხნიკისაო, მეორეც ისა, რომ ამ სკოლების შენახვა გაცილებით უფრო იაფად ჯდება, ვიდრე რომელიმე პროგიმნაზიისა რომლის განხორციელება, სიძვირის გამო, ვერც მთავრობას მოუხერხებია და ვერც ქალაქის მმართველობას უკისრნია იმოდენა ხარჯით. ბ-ნ კორვატოვსკიმ მოიწონა აგრეთვე გამგეობის მიერ ახლად შემუშავებული პროგრამა ქალაქის სახელოსნო სკოლისა.

ჩვენებური ამბები

სანახშირე (შორაპნის მაზრა). ეს სოფელი ძევს თვით შორაპნიდან ხუთი ვერსის მანძილზე და ჩდილოეთ აღმოსავლეთის მხრივ მდინარე ყვირილას მარცხნივ. არც ერთი სოფელი შორაპნის მაზრაში ასე დაქვეითებული და უვარგისი არის სიმინდისა და ღვინის მოსავლით, როგორც სანახშირე. იყო დრო, როცა ცოტაოდენი ღვინო მოდიოდა, მაგრამ ამანაც უღალატა ხალხს. მას შემდეგ, რაც ფილოქსერამ მამულები გააფუჭა, ცუდს მდგომარეობაში არიან აქაური მცხოვრებნი. მწირი მიწებისა და მოუსავლობისა გამო, აგერ რამოდენიმე ხანია, მეტი წილი მცხოვრებლებისა დღიურად ნაშოვნ გროშებით რჩენულობენ თავს. აქაურები მარჯვე და შრომელნი არიან, მაგრამ რა გამოვიდა!.. მამული იმდენ მოსავალს არ აძლევთ, რომ საკმაო სიმინდი მოიწიონ და ქადით მაინც კმაყოფილი იყონ. სანახშირეს ზედ აკრავს სოფელი სალვინე, რომელიც ადგილმდებარეობითაც და მოსავლითაც უმჯობესია სანახშირეზედ. ორთავე სოფელი (სალვინე და სანახშირე) შეადგენს ერთ სამრევლოს, ჰყავთ ერთი მღვდელი და აქვთ ორი ეკლესია (ერთი სანახშირეში, მეორე სალვინეში), სანახშირეს ეკლესიაზეა მიწერილი სადვინეს ეკლესია. ეკლესიები ორივე ხისაა. ორივე სოფლის მცხოვრებნი გლეხობაა, სულ 100 კომლამდის.

ამა წლის ივლისის თვის პირველ რიცხვებში ზემორე აღნიშნული სანახშირის და სალვინის ეკკლესიები ინახულა ყოვლად სამღვდელო ლეონიდმა, იმერათის ეპისკოპოზმა, და ორივე დახურა და საზოგადოებას ურჩია ქვის ეკლესიის აგება.

ორივე სოფლის ყრილობას უნდოდა შეერთებულის ძალით ერთი ეკლესია აეგოთ სანახშირისა და სალვინეს შუა ადგილას, მაგრამ ამას სალვინლები არ დასთანხმდნენ, თანახმად მღ. გ—ანას სურვილისა.

იმანკ.

საბუე. (თელავის მაზრა). ბევრი ავი საქმე ხდება სოფელში უპატრონობით. დღეს კარგი რამ ვსთქვათ, თორემ ავი რა სათქმელია!

საბუელებს აქვთ ერთი ერთ-კლასიანი სამინისტრო სკოლა სამის განყოფილებით.

სკოლა სავსეა მოსწავლეებით. ერთი ჭირი მარგებელიაო,—რომ იტყვიან, სალდათობაზე ითქმის, რამაც ძალა დაატანა მშობლებს ასწავლონ შვილებს, რომ მოკითხვის ამბავი მაინც მოუვიდეთ ხოლმე შორეულ გუბერნიებში სალდათად გადაკარგულ შვილებისგან.

სკოლა მოთავსებულია საკუთარს მშვენიერს შენობაში და წინ მუქთად უშენდება მშვენიერივე ხეხილის ბაღი. სკოლაში სწავლობს ნახევარი რიცხვი ვაჟებისა, ნახევარი ქალებისა. გაკვეთილებს შუა ბავშვები ბაღში მუშაობენ. ქალები ხელსაქმეს სწავლობენ ნასადილევს. შარშან გამოფენაზედაც იყო ამ ბავშვების ნახელავები.

ხშირად გვესმის სოფლად ხმა: ჩემს შვილს ქალს რუსული რათ უნდა, შილდაში მეღვინეს ან მეცხვარეს უნდა მივათხოვო, ჩემს შვილს მანდ-კი არ მივაბარებდი თუ მუშაობა მდომებოდა“.

ბ. ს. კ. ზუბალაშვილი სკოლას ამ იანვრიდამ უფასოდ უგზავნის ჟურნალს „ჯეჯილს“. 23-ს მკათათვეს ადგილობრივმა მოსწავლეებმა შარშანდელისებრ მოახერხეს შინაურული უფასო წარმოდგენა სკოლის სასარგებლოდ. ითამაშეს „ექიმბაში“ და „ცატრიალდა ჯარა“. წარმოდგენამ რიგიანად ჩაიარა. გლეხ-კაცობას ტევა არ ჰქონდა. ბევრი აცინა ხალხი ლ. კ. ჯორჯაძემ—გლეხის როლში.

დ. ხ.

ფოთი. ძლიერ უსუფთაობაა აქაურს ფურნეებში. ჩვენებური მეფურნეები ფქვილს სულაც არა სცრიან. ტომარას მოუხსნიან პირს და, ვარცლში ჩასცლიან ხოლმე გაუცრელად. გამომცხვარს პურს რომ დააკვირდებით ხშირად ნახავთ შიგ ტომრის ნაჭერს, სხვა და სხვა მწერებს, ნაფოტს და კიდევ სხვა რამეებს. ტანისამოსიც ჭუჭყიანი აცვიათ მეპურეებს. ჭურჭელსაც სუფთად არ ინახვენ.

ქურდ-ბაცაცობამ საკმაოდ იკლო. ძველს სენაკში ბაზრობაა გაჩაღებული.

კავკასია

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა უფროსის განკარგულებით ამიერიდგან სადგურ სანდარზედ (ყარსის რკ. გზა) მიიღებენ და დანიშნულებისამებრ გადასცემენ კერძო კორესპონდენციას დილის 8 საათ. საღ. 8 საათამდე („ნ. ო.“).

— ქ. ბაქოს ერთს დაწესებულებაში მოსამსახურის ნიჭსა და სიმარჯვეს-კი არა აქვს თურმე გასავალი, არამედ მის მოხურს ლაქუცს: ამ დაწესებულების გამგეს ამ წინაზედ სამი მოსამსახურე დაუთხოვია სამსახურიდგან მხოლოდ იმიტომ, რომ მის დანახვისათანავე ვერ წამომხტარან ზეზე„ და სალდათურად ფრონტში“ არ დამდგარან ბ-ნს გამგეს. (კასპ.).

თუმცა შიში მეწვია, მაგრამ მაინც რაღაც კმაყოფილებით მიცემდა გული, რადგანაც ხელთა მქონდა საშუალება ჯერ ერთი მთელის წარსულის ნახვისა და მეორეც—სიკვდილის გამოცნობისა... მხოლოდ ერთი გადახედვა და მორჩა: გაიხსნებოდა ჩემთვის ის ყოვლის გზით დახვლანჩული კვანძი გორდიუსისა, რომლის გაკვეთას ვერავინ დაიქადნიდა...

მხოლოდ ერთი გადახედვა!..

უფსკრულის ნაპირს მივუახლოვდი.

ხმა, კრინტი არ ისმოდა; სიჩუმე იყო... ჰაერის სრბოლაც-კი შეჩერებულიყო, თითქოს სიკვდილს ეშინოდა, ჰაერს ამ უფსკრულის საიდუმლოება არსად წაეღო...

აი, ეს იყო აკლდამათა-აკლდამა! მხოლოდ ახლა ვიგრძენ ძლევა-მოსილება სიკვდილისა. ხომ გარშემო მდუმარება ჰსუფევდა, მაგრამ მაინც ეს უფსკრული არად-ყოფნისა მრავალ მეტყველი იყო, თითქოს, ჩემს წარმოდგენაში, ერთი-ერთმანერთზედ მწყობრად ვიდოდნენ საუკუნენი და უცნაურის აღგზნებით ამ უფსკრულში იმარხებოდნენ.

გადავიხედე... სიბნელე, წყვდიადი, უკუმეთი!..

— ნუ-თუ ვერას დაინახავ?—შემომტირა წუხილით გონებამ.—

— ვერრას, ვერრას!—დამცინავის კმაყოფილებით ამოსძახა გულმა.

— ოჰ, ერთი ბეწვა სინათლე, მხოლოდ ერთი ამოსუნთქვის განმავლობაში, რომ უფსკრული განათდეს და ვიხილო ის, რასაც ვერა სწვდება ჩემი გონება!!.

— უფსკრულში გადაეშვი და გაიგებ—შემომევედრა კვლავ გონება.

— არ დაუჯერო! დაიღუპები!—მირჩია გულმა.

არ ვიცოდი რომლისათვის დამეჯერებინა.. აი რა იყო საგანი სიკვდილ სასიცოცხლო!..

ოჰ, გონებავ! რა ცნობის მოყვარე ხარ! ხომ ვხედავ, ვიღუპები, მაგრამ იყოს ნება შენი!

უფსკრულში გადავეშვი.

⁂

მაშინვე როგორღაც შევსუბუქდი, ჩალამღილს დაველდარე... მაჯის ცემა შემიწყდა.

ჩემს გარშემო არა-რა იყო წყვდიადის მეტი. ისეთი სიჩუმე დამყუდრებულიყო იმ არემარეს, რომ თვით პაწია მწერის ფშვენასაც-კი გავიგებდი, სმენის ნიჭი აღკვეთილი რომ არა მქონოდა და იმ მწერს ფშვენა შესძლებოდა.

სივრცე, დრო და ჰაერი იქ არ იყო... მე მათ გარეშე ვიყავი. აქ ბუნება ვერ იხეირებდა და თვით ღვთიური შემოქმედობაც-კი არარად გადიქცეოდა.

სად იყო ცა, ეს დიადი წარმოდგენა ადამიანის ოცნებისა?

სად იყო სამოთხე, ეს საყდური უკვდავებისა?

სად იყო საშინელებით აღსავსე ჯოჯოხეთი, ეს სავანე ტანჯვა ვაებისა და ცოდვათა მონანიებისა?

გამახვილებულის სულის ტკივილით დავეძებდი ერთსაც და მეორესაც, მაგრამ ამაოდ. ამ ქვეყნიურ ცხოვრებას სხვა-და-სხვაობა არ ეტყობოდა. მოძრაობა,—ეს სიმბოლო სულიერის, თუ ხორციელის სიცოცხლისა,—მასში არა სჩანდა... თვით ქვეყანა, საცა სულიერ ცხოვრებას უნდა ეჩინა თავი, არსად იყო.

ის ძალაც-კი, რომელმაც მე იმ სოფელს მომაშორა,—რაკი უფსკრულში გადავეშვი, შესწყდა, აღარ მამოძრავებდა.

თითონ მე, თუ ჩემს სულს, მოძრაობა არ შეეძლო და არც იყო სამოძრაო ადგილი, რადგანაც ჩემს გარშემო არა-რა იყო და თვით მეც არა-რა ვიყავი!..

— ნუ-თუ ეს არის საუკუნო სასუფეველი? შემომქვითინა გონებამ—რის სასუფეველი, როდესაც თვით სუფევა არსად სჩანს?!

ნუ-თუ მორჩა, გათავდა? ასეთია დასასრული კაცის არსებობისა? მაშ რაღად და რისთვის იღვწის იგი ამ სოფლად? რად უღვივის მუდმივი იმედი, რომ მისი ნაღვაწი უქმად არ ჩაივლის, და ამ სოფელში მიიწყავს მაგიერს? სად არის იგი აღთქმული ქვეყანა ნეტარებისა, რომელსაც სიკვდილიც ვერ შემუსრავს?

⁂

იმ დროს, როცა ასეთის ქვითინით მეკითხებოდა გონება, უეცრად რაღაცა ძალამ ზევზევით წამიღო...

და კვლავ ამ სოფლად დავბრუნდი...

ცაზე ვარსკვლავები ციმციმებდნენ. სახეზედ ქალწულებრივი სიო მეალერსებოდა. სუნთქვა შემეძლო და სასუნთქი ჰაერიც მძიმე როდი იყო, არამედ საამო, მაცოცხლებელი. ყოველი გამოსახულება ბუნებისა სინათლეში შთანთქმულიყო.

ერთის სიტყვით, ყველაფერში მოძრაობა სჩანდა, და მე ცხოველ ცხოვრების ზღუდეთა შორის ამოვყავ თავი.

მაგრამ გონება ჩემი მაინც მოსვენებას არ მაძლევდა და წინანდელებრ ჩამჩიჩინებდა:

— ეს ხომ სიცოცხლეა... სადღაა სასუფეველი, საუკუნო ცხოვრება, რომელსაც სიკვდილი დაჰპირებია ადამიანს?

იმავე უცნაურმა ძალამ თავი ძირს დამახრევინა...

ჩემ წინ ქვეყანა იყო... მე თითქმის ცამდე ვიყავ მიღწეული, და ეს მშვენებით აღსავსე მსოფლიო ხელის გულივით მქონდა გადაშლილი.

მხოლოდ არც ზღვამ, არც ხმელეთმა, და არც სხვა უდიადესმა გამოსახულებამ ქვეყნისამ ვერ მიიქცია ჩემი ყურადღება.

თვალნი ჩემნი სულ სხვა სურათს დაეტყვევებინა:

ქვეყნის შუაგულს უშველებელი ძეგლი იყო აღმოზიდული, რომელიც თითქმის ცას ებჯინებოდა.

საოცნებო რამ იყო ეს ძეგლი... რაღაც ჰაეროვანი, თითქმის უსხეულო... თვალისათვის უჩინარი, მაგრამ ამასთანავე მძლეთამძლე ბუმბერაზი, რომელსაც, ასე გეგონებოდათ, ვერავითარი ძალა, თვით სტიქიონთა სტიქიონი—დროც-კი ვერ შეჰმუსრავსო.

ძეგლი დიდხნოვანი სჩანდა, თითქოს ქვეყანასთან ერთად დაბადებულა და მასთანვე ერთად შეზრდილაო.. იგი მუდმივი თანამესაიდუმლე უნდა ყოფილიყო ქვეყნისა... რისგან შესდგებოდა ეს ძეგლი, ძნელი სათქმელი იყო... სხივსა ჰგვანდა, ცისარტყელასავით მრავალფეროვანს...

ქვეყანას ამოეზიდნა თვისის მკერდიდგან, მაგრამ გეგონებოდათ, რომ კვარცხლბეკი მიწაზედ-კი არ ედგა,—არამედ თვალ შეუხებელ ფესვებით ადამიანთა გულშია გამჯდარი და სწორედ იქიდგან იწყება ეს უშველებელი ხელთ-უქმნელი ქანდაკებაო.

მაგრამ გრძნეულება ამ ძეგლისა ის იყო, რომ მრავალ-გვარი ფერადები, მასზედ აღბეჭდილი, სხვა-და-სხვა იერის ადამიანთა სახეთ გეჩვენებოდათ.

ზოგიერთი ამ სახეთაგანი მკაფიოდ იყო გამოხატული, ზოგი ოდნავ ბჟუტავდა.. დანარჩენ ადამიანთა გამოსახულება-კი, რომლის რაოდენობას დასასრული არა ჰქონდა,—ძეგლს არ ეტყობოდა და მხოლოდ ნასახი ადგილი-ღა დარჩენილიყო.., ალბად, აქ ოდესღაც ადამიანის სურათი იქნებოდა, მაგრამ დროთა სვლას წარეხოცა იგი.

ის სახენი, რომელნიც ძეგლზედ აშკარად ირკვეოდნენ, შარავანდედით იყვნენ გასხივოსნებული და როგორღაც იდუმალად მეტყველობდნენ, გეგონებოდათ ფიქრით ქვეყნისაკენ მიისწრაფიანო. რაც უფრო მეტს უმზერდით ამ საკვირველ სახეთ, მით უფრო რწმუნდებოდით, რომ მათ და ქვეყნის შუა განუწყვეტელი კავშირია გაბმულიო.

თვალი ვერ მომეშორებინა ამ თილისმა-ძეგლისათვის, რომელსაც დასასრული არა ჰქონდა, ვით უდიადესს და ფარგალ შემოუცილებელ იდეას უსაზღვროებისას.

რას მოასწავებდა ეს ძეგლი? რა უნდოდა აქამ ქვეყნად მაშინ, როდესაც, იერზედ ეტყობოდა, სხვა ადგილას უნდა მდგარიყო იგი?!.

ვერ გამომეცნო...

გავები კვლავ მტანჯავ ფიქრთა ხლართში...

მაგრამ, როცა გონზედ მოველ, თავი დამშვიდებულად ვიგრძენ... არავითარი საკითხი, აზრი, გამოცანა აღარ მამღვრევდა, თითქოს აწ განცდილი მქონდა საიდუმლოება სიკვდილისა და ისიც, თუ სად და რაში ისახებოდა სასუფეველი...

ილია ელეფთერიძე.

უცხოეთი

ბერმანია. ბერლინში დიდი ყრილობა მოახდინეს პოლონელებმა იმ აზრით, რომ პროტესტი განეცხადებიათ მთავრობის პოლონელთა საწინააღმდეგოდ მიმართულ პოლიტიკისათვის. ყრილობას დაესწრნენ არა მარტო ბერლინელი პოლონელები, არამედ შარლოტენბურგისა, ბრანდენბურგია, შპანდაუსა და სხვა მახლობელ ქალაქთა მცხოვრებნიც, ასე რომ ყრილობას 2000-მდე კაცი დაესწრო. ორატორები მეტად გაცხარებულად ლაპარაკობდნენ; რასაკვირველია, ყველანი ერთხმად ჰკიცხავდნენ მთავრობის პოლიტიკას და, გარდა ამისა, უკმაყოფილება განაცხადეს პოლონელთა საპარლამენტო კლუბის გაუბედავ მოქმედების გამო. დასასრულ დაადგინეს განაჩენი, რომელიც საქვეყნოდ აცხადებს პროტესტ პოლონელთა გაგერმანელების წინააღმდეგ; ორატორები მით უფრო იყვნენ აღელვებულნი, რომ ის თანხაც, რომელიც პოლონელებს ხდებათ, როგორც მოქალაქეთ, მთავრობამ პოლონელების საწინააღმდეგოდ მოიხმარაო: პოლონელებისაგანვე ჰყიდულობს მამულსა და ზედ გერმანელებს ასახლებსო. განაჩენში სხვათა შორის ნათქვამია, არავითარი საშუალება არ დაჰზოგონ იმ პოლონელთა ასალაგმავად, რომელნიც მთავრობას, ან კერძო პირებს (გერმანელებს) ადგილ-მამულს მიჰყიდისო. გარდა ამისა ყოველივე ღონის-ძიება უნდა მიიღონ, რომ პოლონელებმა თავიანთი ქონება, ან ფული, არამც და არამც რომელიმე გერმანულ ფინანსო დაწესებულებაში არ მოათავსონ, არამედ უექველად პოლონურ ბანკებში, რომელთაც ხელი უნდა შეუწყონ პოლონელების ბრძოლას მთავრობის წინააღმდეგ.

ბულგარია. ბორის სარაფოვის შესახებ, რომელიც მეთაურობს მაკედონიის ეხლანდელს მოძრაობას, გაზეთს „Neue Freie Presse“-ს შემდეგი ბიოგრაფიული ცნობები მოჰყავს:

„სარაფოვი ქალ. როდოპიდგანაა, ქრისტეან ოჯახის შვილი, რომელიც იძულებული გამხდარა სამშობლო დეტოვებია და მაკედონიას შეჰფარებოდა, რადგან ოსმალეთის მთავრობა გათათრებას უპირობდა; ბორისის მამა და პაპა ხშირად ისხდნენ საპყრობილეში, და ბოლოს მთავრობამ გააძევა იგინი მცირე აზიაში; დიდის ძებნის შემდეგ ძლივს 1900 წ. მიაგნო იგინი ბორისმა სოფიაში. იმავე წელს სარაფოვი შევიდა სამხედრო სკოლაში; იქიდგან მოყოლებული მას რამდენიმეჯერ შეემთხვა უსიამოვნობა ქალების გამო, მაგრამ ამავე მიზეზით მას გაუვარდა სახელი სიყოჩაღისა და მამაცობისა. მაკედონელთა რაზმები ხომ მაინც აღტაცებაში მოჰყავდა სარაფოვს. მან ალლო აუღო თანამედროვე მაკედონელთა ცხოვრებას და, კიტანჩევის სიკვდილის შემდეგ, მაკედონიის მოძრაობის მოთავედ გახდა. დღეს სარაფოვი იმდენად ძლიერია, რომ ბულგარიის მთავრობა დიდ საგონებელშია ჩავარდნილი, ვაი თუ ამ სლავიანთა გარიბალდიმ, ოსმალეთის დაუძინებელმა მტერმა, ოსმალეთს გადაგვკიდოს და ერთს უბედურებას შეგვყაროსო.

ნარკვევი

ჩვენმა გაზეთმა რამდენიმე წერილი დაბეჭდა მის შესახებ, რომ საქართველოში მცხოვრებ გრიგორიანთა შორის ქართველი გრიგორიანობაც არის, გრიგორიანთ სამღვდელოებას რამდენიმე ეკკლესია აქვს დასაკუთრებული ისეთი, რომ ძველად მართლმადიდებლის ყოფილა, საჭიროა, თუ მათი მთლად ჩამორთმევა არა, საერთო სალოცავად გამოცხადება და ქართველ გრიგორიანთ სიმართლე მოითხოვს. ქართული ენა, როგორც მათ ეკკლესიაში, ისე მათ სამრევლო სკოლებში პატივცემული იყვესო.

როგორც მოსალოდნელი იყო, ეს ამბავი არ იამა სომხის მოტერტერე გაზეთს „ნორდარს“. ეს გაზეთი, რომელიც ისე ეჭიდება ტერტერას ანაფორას, როგორც წყალ-წაღებული ხავსსა, ამა აგვისტოს 17 დღის მოწინავე წერილში ბრძანებს, სხვათა შორის, რომ „ივერიის“ პუბლიცისტებმა გამოიგონეს ეს ამბავი მხოლოდ იმისთვის, რომ

„ქართველების რიცხვი გაადიდონ, ქართული ენა გაავრცელონ, რითაც ჰფიქრობენ ქართველთა ელემენტი გაძლიერდებაო“.

შემდეგ გაზეთი განმარტებს სხვა ქვეყნებში სომხები კიდევ ლაპარაკობენ სომხურს და საქართველოში-კი ვეღარაო, მაგრამ ეს იმით აიხსნება, რომ

„ქართულს ძლიერ მალე სწავლობენ სომხები. ადვილი ენაა იმდენად, რომ შუადღემდე შეიძლება ისწავლოს კაცმა და საღამომდე-კი ისევე ადვილად დაივიწყოსო“.

მოვახსენებთ „ნორდარის“ რედაქციას, რომ ქართველ გრიგორიანთ საქმე ჩვენ-კი არ გამოვიგონეთ, არამედ ყურადღება მივაქციეთ მას, როგორც სინამდვილეს და ზნეობრივადაც ვალდებულნი ვართ დავიცვათ მისი სიმართლე, რომელიც შელახულია და გათელილი. ქართველობა იმდენად ღონიერია ბუნებრივ, რომ ერთი საუკუნის განმავლობაში თითქმის ერთი ექვსად იქცა, რაიც იშვიათია სტატისტიკის ისტორიაში. მას წინედ, როგორც ისტორია მოწმობს, საქართველოს მეფეთა პოლიტიკამ არ იცოდა პან-ივერიზმი (სრულიად ქართველობა) და პრინციპი: „cujus regio, ejus religio (ვისიც ქვეყანა, მისივე სარწმუნოებაო), თორემ შესაძლებელი იყო დავაც აღარ ატეხილიყო. ასე რომ, თუ ვინმე შეგვითვისტომდა, ის ღვაწლია ქართველის კაცის პირადის ღირსებისა, მისი ბუნებაზიარობისა, რომელიც სამწუხაროდ მოიკოსმოპოლიტებს ხოლმე ჩვენდა სავნებელადაც. ვხედავთ, რომ ქართველობა არა თუ თვითონ მრავლდება, ქართული ენაც გავრცელებულია და, რაც თავისთავად ძლიერია, იმას გაძლიერება აღარ უნდა და პატრონი-კი სჭირია, თუ რამ ბოროტება ეცადა მის დასუსტებას. ხოლო რაც შეეხება იმას, ქართული ადვილი შესასწავლია და ადვილადვე დასავიწყებელიო, ოცნებიანის იმედით უთქვამს „ნორდარს“, ეგებ ქართველ გრიგორიანთ გასომხების საქმეში ხელი არავინ შეგვიშალოს და კუდის რიკამდე ვსდიოთ, ისე გავასომხოთ, რომ სომხურთან არა თუ ქართულიც იცოდნენ, არამედ ისე დავავიწყოთ, ღონისძიება აღარ ექმნეს კარის მეზობელს ქართულად გამოელაპარაკოსო. ქართველ მაჰმადიანებს, რომელნიც 1878 წლამდე ოსმალოს ხელში იყვნენ და სპარსეთში ფერეიდანის თემში მყოფი მაჰმადიანი ქართველობა რად არ გადაგვარდა, თუ ასე ადვილი დასავიწყებელია ქართული ენა, და დღესაც ქართულს ლაპარაკობს? არა, გასომხების სურვილმა ათქმევინა, თორემ უმჯობესი არ იყო ეუწყებინა ჩვენთვის, რომ სომხური ენა ძნელი შესათვისებელი და გასავრცელებელი არისო.

წერილი

რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ, თქვენის პატივცემულ გაზეთ „ივერიის“ საშუალებით, როგორც ჩემის, ისე ჩემდამი რწმუნებულის სკოლის მოწაფეების მხრივ, უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო იმ პირთ, რომელთაც შემოსწირეს თავიანთი წვლილი ფასანაურის საეკკლესიო სკოლის ბუნდოვანის სურათებისათვის ფარნის შესაძენად. აი, სია შემომწირველთა.

ექიმმა გადომსკიმ 5., ინჟენერმა ნიკოლინმა 5 მ., კრილოვმა 2 მ., საქონლის ექიმმა ტიგერმა 2 მ., ბოქაულმა ანტონოვმა 3 მ., სერგეევისამ 1 მ., ვინოგრადოვმა 50 კ., წინამძღვარიშვილმა 1 მ., ლაზარევმა 20 კ., მღ. ჯანკოტაძემ 1 მ. 50 კ., მღ. მ. კავკასიძემ 50 კ., მღ. ა. კავკასიძემ 1 მ., მღ. ჩოხელმა 1 მ., ბ. კაიშაურმა 1 მ., ჩიტაევმა 50 კ., მესხიევმა 50 კ., კირცხალიამ 20 კ., თუმანოვმა 15 კ., მელიქიშვილმა 40 კ., კაიშაურმა 1 მ., მამისოვმა 30 კ., აბულოვმა 20 კ.. კობაიძემ 1 მ., ქავთაროვმა 50 კ., ბუჩუკურმა 50 კ., Офицера 1-ой дивизіи Кавк. Рез. Арт. Бриг. 3 მ., ზაგტრეგერმა 3 მ.; დესტოვმა 1 მ., ალხაზოვმა 1 მ; სტევიცკიმ 1 მ; ბოიახრჩევმა 50 კ; გავრილენკომ 20 კ., ყველაიძემ 30 კ; მღ. კაიშაურმა 1 მ., ა. ტერაბრამოვმა 1 მ., მიხ... 20 კ., კ. კ. კეზელმა 50 კ.. კოჟინმა 1 მ., ივანოვმა 30 კ., ავერკიევმა 50 კ., №. №. 40 კ., კოკაროვიჩმა 1 მ., ფიცხელაურმა 15 კ., კრინიცხოვისამ 1 მ., №.№. 1 მ,, არტ. პასხალოვისამ 50 კ., ანდრეევმა 50 კ., ბალონსკიმ 1 მ., ტროფიმოვისამ 50 კ., სტ. ასატუროვმა 50 კ., №. №. 50 კ. ბოდალოვმა 50 კ., ს. 10 კ. ოგბაიძემ 50 კ., ბ. 50 კ., რუბინშტეინმა 50 კ., №. №. 40 კ., №. №. 20 კ., ბუჩუკურმა 10 კ., ზეკაურმა 10 კ., №. №. 20 კ., ო. ლავროვისამ 1 მ., სკომოროხოვმა 50 კ., №. №. №. 30 კ., ტრიპოილსკიმ 30 კ., წიკლაურმა 30 კ., № 1 მ. 20 კ., ლაშოვისამ 50 კ., დანილოვმა 50 კ., ვისეხოვმა 1 მ; სჩერბინოვმა 1 მ. №№ 1 მ., დიკოვმა 1 მ., როგალმა 1 მ. 50 კ., №№ 50 კ., კრასინსკმა 50 კ; ზოლოტინსკიმ 2 მ., №№ 20 კ., №№ 20 კ., №№ 15 კ., №№ 1 მ., სუხოდროვმა 50 კ., ვალენტინა ბრიხნიჩოვისამ 3 მ.,—სულ 72 მანეთი და 95 კაპ. ამ ფულებით უკვე გამოვიწერეთ ფარანი და წიგნების კაზმის მასალა, რომელიც მივიღეთ კიდეც, ხოლო ფარანს-კი ამ დღეებში მოველით.

ფასანაურის საეკკლესიო სკოლის მასწავლებელი-მთავარ-დიაკონი კონსტანტინე კავკასიძე

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

16 აგვისტო

ნოვოროსიისკი. მოვიდა სამი ჯავშნიანი გემი შავის ზღვის ესკადრა: „როსტისლავი“ დიდის მთავრის ალექსანდრე მიხეილის ძის უფროსობით, „გიორგი პობედონოსეც“ და „ტრი სვიატიტელია“

სუხუმი. საკლიმატიზაციო სადგურის სასტუმროს გაგრის შენობის აგება დასრულდება ენკენისთვის პირველს რიცხვებში. სადგურის გახსნის ვადა გადაწყვეტილი არ არის.

პეტერბურგი. „კანონდებულებათა კრებულში“ გამოცხადებულია ახალი შტატი მიწადმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გამგეობათა და უმაღლესი ბრძანება ვარშავის სპოლიტეხნიკო ინსტიტუტში სამის განყოფილების დაარსების შესახებ.

17 აგვისტო

სოფია. მთავრობამ ნოტით მიმართა რუმინიის წარმომადგენელს, რომელშიაც ითხოვს რომ სოფიაში რუმინიის სკოლები იმყოფებოდეს ბოლგარიის სასკოლო ზედამხედველობის ქვეშ. და ამასთანავე უცხადებს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში სკოლებს დავხურავთო.

ბერლინი. იმპერატორს ჰქონდა საუბარი მინისტრ პრინეტისთან, რომელსაც მას შემდეგ ჰქონდა ხანგრძლივი ლაპარაკი კანცლერთან.

სიმლა. ინდოეთის სტატსეკრეტარმა დაამტკიცა კვეტსა და ნუშკის შორის რკინის გზის შტოს გაყვანა. მუშაობა საჩქაროდ დაიწყო.

ხარკოვი. 16 აგვისტოს არქეოლოგიურს კრებაზე დაიწყო მუშაობა სექციებით. წევრთა რიცხვი ამ ჟამად 312-ია.

პეტერბურგი, 16 აგვისტოს დიდ ცარსკოე-სელსკის სასახლეში ხელმწიფე იმპერატორის, ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულისა და საბერძნეთის მეფის თანა დასწრებით მოხდა ცერემონიალისამებრ ქორწინება დიდის მთავრინასი ელენე ვლადიმერის ასულისა და საბერძნეთის მეფის ძის ნიკოლოზისა.

დიდი მთავარი პავლე ალექსანდრეს ძე 16 აგვისტოს წაბრძანდა საზღვარ გარეთ.

„Прав. Вѣст.“-ში დაბეჭდილია დღეს საერო განათლების სამინისტროს გამგის ცირკულიარი, სამოსწავლო ოლქების მზრუნველთა მიმართ, რომელშიაც აღნუსხულია უმაღლესად დამტკიცებულნი საშუალებანი, გამაწესრიგებელნი მოსწავლეთა შრომისა და მათი ჯანმრთელობის ხელის შემწყობნი. უქმ დღეებს გარდა, სამოსწავლო წლის განმავლობაში მომატებულია კიდევ შვიდი დღე მოსწავლეთა დასასვენებლათ და გონივრულ გასართობათ; ექიმს ნება ეძლევა დაესწროს ხოლმე საპედაგოგიო საბჭოს კრებას და ხმა იქონიოს, განსაკუთრებული ყურადღებაა მიქცეული იმაზედ, რომ სკოლის შენობაში სუფთა ჰაერი იყოს, ბავშვებს ხშირად წმინდა ჰაერზე ასეირნებდნენ და ათამაშებდნენ.

პეტერბურგის ბირჟა, 16 აგვისტო.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,15
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,80
ბერლინში ,,	46,27$\frac{1}{2}$
პარიჟში ,,	37,62$\frac{1}{2}$
ბირჟის დისკონტი	4$\frac{1}{2}$—6$\frac{1}{2}$%
4% სახელმწიფო რენტა	97 $\frac{1}{8}$ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	467 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	357 გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	291 $\frac{3}{4}$ წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4$\frac{1}{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
4$\frac{1}{2}$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, „ „ „	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	—
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—

ყოველ-დღიური საჭირო ცნობანი

რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბაქო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით)	3 ს.43 წ. დღ.	11 ს.49 წ.დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს.37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბათუმი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე)	10 ს.2 წ. დილ.	7 ს. 43 წ.დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ.დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე)	7 ს. 18 წ.დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
სამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან)	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბორჯომი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე)	9 ს. 57 წ. დილ.	6 ს. 22 წ.დილ
სამგზავრო „ „	6 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

განცხადება

GRAND PRIX
PARIS 1900.

Т-во Высшей парфюмеріи

А. Ралле и К°

„Парфюмерея
Лѣсная Фіалка“

ქ. გორში

სამეფო ქუჩაზედ, არჩუაძის და მაისურაძის წიგნის მაღაზიაში ისყიდება, დაკლებულ ფასად, შეგირდებისათვის ყოველ გვარი სახელმძღვანელო წიგნი.

(30—6.—11)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, И. Алхазова	„	30
Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н. Марра	3	„
О грузинскомъ и русскомъ алфавитахъ съ педагогической точки зрѣнія Я. Гогебашвили	„	20
Неестественность „естественнаго“ метода въ дѣлѣ обученія языкамъ Л. Боцвадзе	„	10
Бальваръ и Іодасафъ, А. Хаханова	„	60
Очерки по исторіи грузинской словесности, А. Хаханова в. III.	3	„
Замѣтки о городскомъ самоуправленіи на кавказѣ Г. Туманова	„	60
Георгій XII, послѣдній царь Грузіи, Н. Дубровина	1	„
მეცნიერებისათვის წამებულნი, სურათებით, თარგმანი ს. ნიკიტინისა	1	„
ველურობა და განათლება, თარგ. ს. ჯუღელისა	„	30

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეცხრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს**, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1902—1903 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია**, 2) **საკომერციო არითმეტიკა**, 3) **ბუხჰალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით**. 5 **საკომერციო მიწერ-მოწერა**, 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი**, 7) მსწრაფლ-წერა **და წერა-გაკრული და შნოიანი** (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 16 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 2 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა დ ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს **ს. პ. მანუელიანცს**, ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსებზე სწავლა ყოველ დღე.

(24—361—18)

ფინანსთა სამინისტროს გამგეობაში მყოფი

საბუხჰალტერო კურსები

ნ. ვ. აბრაამიანისა,

ავტორისა „სავაჭრო, საქარხნო და სანავთ-მრეწველო ბუხგალტერიის სახელმძღვანელოსი“, რომელიც მოწონებულია ფინანსთა სამინისტროს სამოსწავლო განყოფილების მიერ ვითარცა ხელშემწყობი წიგნი საკომერციო სასწავლებლებში სასწავლებლად.

ასწავლის და ამზადებს

ორისავე სქესის ახალგაზდებს პრაქტიკის შემწეობით საბუხგალტერო მუშაობისათვის 4 თვეში, თან ბულდავანობასაც კისრულობს და, როცა საჭიროა, რეკომენდაციასაც გაუწევს.

სწავლების საგნები:

1) **ორ-მაგი იტალიური ბუხჰალტერია მრეწველობის ყოველ დარგისათვის, დაწმენდილის ნავთის საქარხნო წარმოებისა და ნავთ-მრეწველობის დარგის გამოუკლებლადაც-კი.** 2) **საკომერციო არითმეტიკა.** 3) **საკომერციო მიწერ-მოწერა** (**კორესპონდენცია**). 4) **სავექილო და სავაჭრო მართლიერება.** 5) **კალიგრაფია და გასწორება სულ ცუდის ხელისაც-კი წერაში.**

მოსწავლენი მიიღებიან ყოველ დღე. სწავლა დაიწყება და იწარმოებს 1902 წლის 15 სექტემბრიდან და ყოველ 4 თვეს შემდეგ კვლავ განახლდება, ყოველდღე, ნასადილევს. ფასი 60 მან. მთლად კურსისათვის. კურსის გათავებისას მოსწავლეს ეძლევა დაწესებული მოწმობა, ნება-დართული წესდებისამებრ ფინანსთა სამინისტროს მიერ. მსურველთ ვსთხოვ მიჰმართონ წერილით ანუ პირადათ კურსების დამაარსებელს ტფილისში, ნიკოლოზის ქუჩა, № 46. პროგრამა უსასყიდლოდ გაეგზავნებათ. ზემოხსენებული სახელმძღვანელო ისყიდება რუსეთის ყველა წიგნის მაღაზიაში. ვინც ავტორისაგან დაიბარებს, ფასდადებისათვის არაფერს იხდის. თითო ეგზემპლიარის ფასია 3 მან. 50 კაპ. (25—379—20)

ახალი გამოცემანი

წერა-კითხვის საზოგადოებისა

თავდადებულნი ქართველნი, ისტორიული მოთხრობანი იაკობ გოგებაშვილისა, მეორე სურათებიანი გამოცემა, ფასი შვიდი კაპეიკი. ვინც ათობით იყიდის, წიგნაკი დაეთმობა 6 კაპეიკად, ვინც ოცობით—შაურად.

იავნანამ რა ჰქმნა? მოთხრობა იაკობ გოგებაშვილისა, მესამე სურათებიანი გამოცემა, ფასი ერთი შაური. ვინც ათობით იყიდის, წიგნაკი დაეთმობა 4 კაპ.

(6—5)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 Августа 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.